

თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და  
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს  
2019 წლის 25 იანვრის სხდომის

## ო ქ მ ო N 1

2019 წლის 25 იანვარს ჩატარდა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები, მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: გიორგი ჭეიშვილი, ლევან გორდეზიანი, მარიამ ჩხარტიშვილი, ავთანდილ სონდულაშვილი, ქეთევან ხუციშვილი, როლანდ თოფჩიშვილი, ლიანა ბითაძე, ვახტანგ გოილაძე, ეკა კვაჭანტირაძე, ვაჟა კიკნაძე, დოდო ჭუმბურიძე, ელდარ ბუბულაშვილი, ნიკოლოზ ჯავახიშვილი, ნინო მინდაძე, ხათუნა იოსელიანი, სალომე ოქრუაშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი. საბჭოს სხდომას ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი (დანართი 1).

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ, ლ. ჯანიაშვილმა საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგი:

1. ინსტიტუტის ვებ-გვერდის განახლება;
2. ინსტიტუტის სამეცნიერო კრებულთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები;
3. 2019 წელს დაგეგმილი სამეცნიერო კონფერენციების (თინათინ ყაუხჩიშვილის, გრიგოლ ფერაძის, რუსუდან ხარაძის, ვერა ბარდაველიძის საიუბილეო და ლორის ქართულ-სომხური) საორგანიზაციო საკითხები;
4. 2018 წლის წლიური თემების მონიტორინგის შედეგები;
5. მიმდინარე საკითხები.

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი ერთხმად იქნა მიღებული.

მოისმინეს:

### **1. ინსტიტუტის ვებ-გვერდის განახლება;**

ლავრენტი ჯანიაშვილმა საბჭოს სხდომაზე პირველ საკითხად გამოიტანა ინსტიტუტის ვებ-გვერდის განახლება-რეორგანიზების საკითხი. აღნიშნა, რომ ინსტიტუტის მომავალი საქმიანობისათვის ვებ-გვერდის რაობას აქვს განმსაზღვრელი მნიშვნელობა. ვინაიდან ახალგაზრდები კარგად იცნობენ თანამედროვე გამოწვევებს, საჭიროა მათი ჩართულობა. ჩვენმა ახალგაზრდა კოლეგამ, ნოდარ შოშიაშვილმა, რომელსაც აქვს კარგი გამოცდილება, სურვილი გამოთქვა, რომ ამ საქმეს გაუწიოს ორგანიზება.

მოისმინეს: ნოდარ შოშიაშვილის მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ნოდარ შოშიაშვილმა სამეცნიერო საბჭოს გააცნო თავისი მოსაზრება, თუ როგორი უნდა იყოს აკადემიური საიტი. რა უნდა იყოს პრიორიტეტი. პირველ მნიშვნელოვან კომპონენტად დასახელა, რომ საიტი მთავრდებოდეს ge-ზე, რადგან ge-არის მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომ ეს ინსტიტუტი იმყოფება საქართველოში, და საქართველოდან ფუნქციონირებს. მეორე მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომ იყოს მარტივად მოსამიერებელი, მიუხედავად იმისა, სწორად ჩავწერთ თუ არა დასახელებას; შესაბამისად, ხელმისაწვდომობა უნდა იყოს პრიორიტეტული. მესამე კომპონენტია, რომ უნდა იყოს მინიმუმ ორენოვანი, რათა როგორც გარე დონორებს, ისე შიდა აკადემიურ სივრცეებში ჰქონდეთ ინფორმაცია ჩვენი ინსტიტუტის შესახებ. დასახელა ყველა ის მიმართულება, რაც, მისი აზრით, უნდა ჰქონდეს თანამედროვე საიტს. განიხილა, თუ რა სახის ინფორმაცია უნდა იდებოდეს საიტზე, რათა კარგად ჩანდეს ინსტიტუტის მუშაობა. აღნიშნა facebook-ის გვერდის არსებობის აუიცლებლობა, მისი მნიშვნელობა, რომ იგი უნდა იყოს მიბმული საიტზე და ავრცელებდეს საიტზე დადებულ ინფორმაციას, რაც უფრო მოთხოვნადს გახდის საიტს.

გაიმართა მსჯელობა, აზრი გამოთქვეს: მალხაზ დუმბაძემ, ლავრენტი ჯანიაშვილმა, გიორგი ჭეიშვილმა, მარიამ ჩხარტიშვილმა, ქეთევან ხუციშვილმა, ეკა კვაჭანტირაძემ, ელდარ ბუბულაშვილმა.

მალხაზ დუმბაძემ აღნიშნა რომ, საიტი ფუნქციონირებს კარგად, საიტს აქვს საკმაო მოცულობა. ნოდარ შოშიაშვილის მიერ წარმოდგენილ ხედვაზე საჭიროა მსჯელობა, აზრთა შეჯერება, როგორი სტრუქტურა იქნება, რა არის შესაცვლელი სტრუქტურაში და ა. შ.

**ლავრენტი ჯანიაშვილი:** ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ მომავალში შეიქმნება რაღაც საინიციატივო ჯგუფის მსგავსი, რომელშიც ახალგაზრდები გაწევრიანდებიან, და გააგრძელებენ ამ მიმართულებით (და არა მარტო ამ მიმართულებით) მუშაობას. შეიძლება ახალგაზრდული კონფერენციის ჩატარება, რაც არა მარტო ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლებს, არამედ სხვა ინსტიტუციების ახალგაზრდა მეცნიერებსაც გაუკეთებს კონსოლიდირებას.

იმსჯელეს და დაადგინეს: შეიქმნას საინიციატივო ჯგუფი, რომელსაც ნოდარ შოშიაშვილი ჩაუდგება სათავეში. მალხაზ დუმბაძესთან ერთად, დაიწყოს ამ მიმართულებით მუშაობა და შემდეგ შეხვედრაზე წარმოდგენილი იყოს ვებ-გვერდის განახლების პროექტი.

მოისმინეს:

**2. ინსტიტუტის სამეცნიერო კრებულთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები.**

**ლავრენტი ჯანიაშვილმა** საბჭოს სხდომას მიაწოდა ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით; გააცნო რედკოლეგიის შემადგენლობა, 6 უცხოელი: სტივ რეპი (აშშ), ჰიროტაკე მაედა (იაპონია), დავით ყოლბაია (პოლონეთი), ანეგრეტ პლონტკე ლიუნინგი (გერმანია), ქევინ თუითი (კანადა), ჰუბერტუს იანი (დიდი ბრიტანეთი).

კარბოვისგან ველოდებით პასუხს, უარის შემთხვევაში, ვთხოვოთ ქ-ნ მარიამ ჩხარტიშვილს დაეკონტაქტოს თავის ბულგარელ კოლეგას. წინა სხდომაზე შევთანხმდით, რომ ჩვენი ინსტიტუტიდან: რედაქტორი იქნება ალექსანდრე თვარაძე, რედკოლეგიის წევრები: ვახტანგ გოილაძე, ხათუნა ქოქრაშვილი, ლიანა ბითაძე, ნათია ჯალაბაძე, ნინო მინდაძე, ვალერიან ვაშავიძე, გიორგი ქავთარაძე; არქეოლოგები: გოდერძი ნარიმანაშვილი, დავით მინდორაშვილი, დავით გაგოშიძე; ხელოვნებათმცოდნეები: დიმიტრი თუმანიშვილი, მარიკა დიდებულიძე და სალომე მელაძე.

**ქეთევან ხუციშვილი:** მინდა გაგაცნოთ განყოფილებაში გამოთქმული მოსაზრება. თუკი ეს ჟურნალი იქნება ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე, მაშინ რატომ არის ასე არაჯანსაღად განაწილებული მაგ. ისტორიკოსების, ეთნოლოგების და სხვათა ციფრი. ხელოვნებათმცოდნეებს და არქეოლოგებს სამ–სამი, რატომ არ არის ეთნოლოგი, ისტორიკოსი ამდენივე. ეგებ, გაიზარდოს ეს ციფრი, Erih+ ბაზებში მოსახვედრად, ნამდვილად არის წინაპირობა სხვადასხვა ინსტიტუციების წარმომადგენლების არსებობა, მაგრამ იქ არ არის ლაპარაკი, თუ რამდენი უნდა იყოს. რატომ არ შეიძლება თითო–თითო იყოს სხვა ინსტიტუციის წარმომადგენელი და გაიზარდოს ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომელთა ციფრი. განყოფილების თანამშრომლების ამ მოსაზრებას მეც ვემხრობი. ჩვენ კიდევ გვყავს წარმომადგენლები, ვისი წარდგენაც გვინდა რედკოლეგიაში და ვასახელებთ ხათუნა იოსელიანს.

**იმსჯელეს და დაადგინეს:** ხათუნა იოსელიანი შეყვანილი იქნას ჟურნალის რედკოლეგიაში.

**ლავრენტი ჯანიაშვილი:** რაც შეეხება ჟურნალის სათაურს – რამდენიმე ვარიანტი მოგვაწოდეს კოლეგებმა; ნიკოლოზ ჯავახიშვილის ვარიანტია – „მრომები“, ბატონმა როლანდმა წარმოადგინა – „მიმომხილველი“, მარიამ ჩხარტიშვილმა „ACTA GEORGICA“. გვაინტერესებს სხვა ვარიანტებიც, რაც უფრო მეტი ვარიანტი იქნება, მით უკეთესი სათაურის არჩევის საშუალება გვექნება. განყოფილების გამგეებმა იმსჯელონ განყოფილების წევრებთან და მოგვაწოდონ თანამშრომლების აზრი ამ საკითხზე.

გაიმართა მსჯელობა, აზრი გამოთქვეს: მარიამ ჩხარტიშვილიმა, ლევან გორდეზიანმა, როლანდ თოფჩიშვილმა, გიორგი ჭეიშვილმა, ქეთევან ხუციშვილმა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა: მომხრე – 17 წინააღმდეგი – 0.

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: დაევალოს ბატონ აღექსანდრე თვარაძეს რედკოლეგიის წევრებთან ერთად, შეიმუშაოს ჟურნალის სავარაუდო კონცეფცია, პროექტი და წარმოადგინოს შემდგომ სხდომაზე.

განყოფილების გამგებმა იმსჯელონ თავიანთ განყოფილების წევრებთან, შეჯერდნენ და მოგვაწოდონ ჟურნალის სათაურის ვარიანტები შემდეგი პარასკევისთვის.

მოისმინეს:

**3. 2019 წელს დაგეგმილი სამეცნიერო კონფერენციების (რუსულან ხარაძის, გრიგოლ ფერაძის, თინათინ ყაუხჩიშვილის, ვერა ბარდაველიძის საიუბილეო და ლორის ქართულ-ხომხური) საორგანიზაციო საკითხები;**

**ლავრენტი ჯანიაშვილი:** ქალბატონ რუსულან ხარაძის იუბილესთან დაკავშირებით გვაქვს იდეა, თუ შესაძლებელი იქნება, ჩავატაროთ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში.

გრიგოლ ფერაძის 120 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია დაგეგმილია 11–13 სექტემბერს. ორგანიზატორი არის ჩვენი ინსიტუტი. გვეყოლება თანაორგანიზატორებიც: გრიგოლ ფერაძის საზოგადოება, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი, ხელოვნებათმცოდნეობის ინსტიტუტი. ამ მიმართულებით ჩვენთან აპირებს თანამშრომლობას ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის კვლევის ცენტრის საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც ყოველწლიურად მართავს გრიგოლ ფერაძის სახელობის კონფერენციებს. ეს კონფერენციები, ვფიქრობთ, მონაცვლეობით ყოველ მეორე წელს გაიმართება საქართველოში, და ყოველ მეორე წელს ვარშავაში. საქართველოში გაიმართება გრიგოლ ფერაძის დაბადებისადმი მიძღვნილი კონფერენცია დეკემბრის თვეში. ამდენად, წელს ვგეგმავთ საქართველოში, მომავალ წელს იქნება ვარშავაში.

ვფიქრობთ, კონფერენციის დასახელება იქნება – „საქართველო და ქრისტიანული სამყარო“, მონაწილეობის მიღება ღია იქნება, გამოქვეყნდება განაცხადი. სამუშაო ენები იქნება ინგლისური და ქართული. თვის დასაწყისში, ალბათ, შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი გამოაცხადებს გრანტს კონფერენციების ჩასატარებლად, ვფიქრობთ, შ. რუსთაველის ფონდიდან მოვიპოვოთ დაფინანსება. გვჭირდება პროექტის ხელმძღვანელი, ვინც დაწერს პროექტს.

**გაიმართა მსჯელობა, აზრი გამოთქვეს:** მარიამ ჩხარტიშვილიმა, გიორგი ჭეიშვილმა, ქეთევან ხუციშვილმა.

**გიორგი ჭეიშვილი:** ქალბატონ თინათინ ყაუხჩიშვილისადმი მიძღვნილ კონფერენციასთან დაკავშირებით, მოგახსენებთ, რომ ჩვენთან ერთად მონაწილეობას

მიიღებს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მთავრობისგან უკვე გამოყოფილია დაფინანსება. კონფერენციას ერქმევა – „საქართველო, ბიზანტია და ქრისტიანული აღმოსავლეთი“, ორგანიზატორები არიან: კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თსუ ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. კონფერენცია ჩატარდება მაისში.

გაიმართა მსჯელობა, აზრი გამოთქვეს: ლევან გორდეზიანმა, მარიამ ჩხარტიშვილიმა, გიორგი ჭეიშვილმა, ვახტანგ გოილაძემ, ლიანა ბითაძემ.

იმსჯელეს და დაადგინეს: მარიამ ჩხარტიშვილი და ლევან გორდეზიანი ჩვენი ინსტიტუტის სახელით ჩაერთონ თინათინ ყაუხჩიშვილისადმი მიძღვნილი კონფერენციის საორგანიზაციო საქმიანობაში.

ქეთევან ხუციშვილი: რაც შეეხება ვერა ბარძაველიძისადმი მიძღვნილ კონფერენციას, ეს თარიღი ნამდვილად აღნიშვნის დირსია, 10 წლის წინ ჩავატარეთ დიდი ღონისძიება ინსტიტუტში, ხუთი წლის წინ ვერა ბარდაველიძის კაბინეტიც გაიხსნა უნივერსიტეტში. ვითავებთ ამ კონფერენციის ჩატარებს და ჩვენს ხედვას და კონცეფციას ასევე გაგაცნობთ.

გიორგი ჭეიშვილი: ლორეს ქართულ-სომხური კონფერენციის საკითხი ჯერ ღიაა, გაირკვევა, როდესაც ჩავალ ლორეში.

გაიმართა მსჯელობა, აზრი გამოთქვეს: მარიამ ჩხარტიშვილმა, გიორგი ჭეიშვილმა, ქეთევან ხუციშვილმა, ვახტანგ გოილაძემ, როლანდ თოფჩიშვილმა. გამოითქვა მოსაზრება, რომ მოვითხოვოთ კონფერენცია ჩატარდეს ერევანში.

მოისმინეს:

#### 4. 2018 წლის წლიური თემების მონიტორინგის შედეგები;

ხათუნა იოსელიანი: შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ასპროცენტიანი შედეგი დადეს წელს ჩვენმა თანამშრომლებმა. ყველამ მოიტანა ამონაბეჭდი და ელექტრონული ვერსიები. მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის თანამშრომლებთან. კონკურსით გარეთ დარჩენილ თანამშრომელთაგან მხოლოდ ლელა სარალიძემ და შოთა ვაძაჭვორიამ წარმოადგინეს წლიური თემები.

ლავრენტი ჯანიაშვილი: კარგი იქნება, თუ წლევანდელი წლიდან შევიტანთ ცვლილებას და წლიური ნაშრომები წარმოდგენამდე დაექვემდებარება რეცენზირებას თვითონ განყოფილებების შიგნით. წავიკითხოთ ერთმანეთის ნაშრომები და დავწეროთ ნაშრომზე რეცენზია.

რაც შეეხება სემინარებს, წინა სხდომაზე შევთანხმდით, რომ დავიწყებდით „საინსტიტუტო საუბრების“ გაგრძელებას. ხათუნა იოსელიანმა დათქვას დრო, რა რიცხვში ჩატარდება ეს საუბრები, რადგან როლანდ თოფჩიშვილი და ვახტანგ გოილაძე უკვე მზად არიან წაიკითხონ მოხსენებები.

გარდა ამისა, გვქონდა შეხვედრები არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტან, მათ გამოთქვეს სურვილი, რომ გაცვლითი სემინარები ჩატარდეს.

გაიმართა მსჯელობა, აზრი გამოთქვეს: მარიამ ჩხარტიშვილიმა, ვახტანგ გოილაძემ, როლანდ თოფჩიშვილმა, ვაჟა კიკნაძემ, ელდარ ბუბულაშვილმა.

დაადგინეს:

1. დაევალოს ნოდარ შოშიაშვილს, მალხაზ დუმბაძესთან ერთად, დაიწყოს ინსტიტუტის ვებ-გვერდის განახლებაზე მუშაობა და შემდეგ შეხვედრაზე წარმოდგენილი იყოს ვებ-გვერდის რეორგანიზაციის პროექტი.
2. დაევალოს ბატონ ალექსანდრე თვარაძეს რედკოლეგიის წევრებთან ერთად, შეიმუშაოს ჟურნალის კონცეფცია და პროექტი წარმოადგინოს შემდგომ სხდომაზე.
3. განყოფილების გამგეებმა იმსჯელონ თავიანთი განყოფილების წევრებთან, შეჯერდნენ და მოგვაწოდონ ჟურნალის სათაურის ვარიანტები შემდეგი პარასკევისთვის.
4. ხათუნა იოსელიანი შეყვანილი იქნას ჟურნალის რედკოლეგიაში.
5. მარიამ ჩხარტიშვილი და ლევან გორდეზიანი ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სახელით, ჩაერთონ თინათინ ყაუხებიშვილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის საორგანიზაციო საქმიანობაში.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე:

ლავრენტი ჯანიაშვილი

საბჭოს მდივანი:

ანა რუაძე

25. 01. 2019

თხუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და  
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს  
2019 წლის 25 იანვრის სხდომას ესწრებოდნენ  
მთავარი მეცნიერი თანამშრომლები:

- გიორგი ჭეიშვილი
- ლევან გორდეზიანი
- მარიამ ჩხარტიშვილი
- აკანდილ სონდულაშვილი
- ქეთევან ხუციშვილი
- როლანდ თოფჩიშვილი
- ლიანა ბითაძე
- გიორგი ქავთარაძე

Handwritten signatures of the first five individuals listed in blue ink.

- ვახტანგ გოილაძე
- ეკა კვაჭანტირაძე
- ვაჟა კიკნაძე
- დოდო ჭუმბურიძე
- ელდარ ბუბულაშვილი
- ნიკოლოზ ჯავახიშვილი
- ნინო მინდაძე
- ხათუნა იოსელიანი
- სალომე ოქრუაშვილი
- ლავრენტი ჯანიაშვილი

Handwritten signatures of the remaining five individuals listed in blue ink.